№ 222 27 ღვინობისთვე, შაბათი 1866—1879 27 ღვინობისთვე, შაბათი № 222

დროება

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვისა — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ღირს შაურად.

ᲣᲗᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ... — 5 კაპ.

ᲒᲐᲛᲦᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს ... სტატიები. ... ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ... ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ღირს შაურად.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲝᲗᲮᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადღეის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲤᲐᲡᲘ ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ᲡᲐᲛᲘ მანეთი.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ 19 აგვისტოს გამოცემული წესდება იმის შესახებ, რომ საქალაქო და საერო უწყებების თანამდებობის პირნი ღუბერნატორის თანხმობით უნდა იყვნენ დანიშნულნი,—ეს წესდება შეეხება აგრეთვე მომრიგებელ მოსამართლეთა უწყებასაც; ამ უკანასკნელს შემთხვევაში ეს წესდება შემოიღება მხოლოდ დროებით, გამოსაცდელად, და გავრცელდება ყველა პირებზე, რომელნიც მომრიგებელ მოსამართლესთან მსახურებენ, გარდა თვითონ მომრიგებელ მოსამართლისა. საერო და საქალაქო გამგეობის უწყებანი ვალდებულნი არიან, რომ სენატსაცა და ადგილობრივ ღუბერნატორსაც ერთსა-და-იმავე დროს წარუდგინონ საპატიო და უჩასტკის მომრიგებელ მოსამართლეთა სია, რომელნიც იმათ ამოარჩიეს; ღუბერნატორი განიხილავს ამ პირთ ზნეობით მხარეს და თავის აზრსა და შენიშვნებს წარუდგენს სენატს; სენატი განიხილავს ღუბერნატორისა და აგრეთვე იუსტიციის მინისტრის აზრს და ან დაამტკიცებს და ან არა წარდგეხილ პირებს.

ᲙᲐᲚᲣᲒᲘᲡ, ᲢᲣᲚᲘᲡᲐ და ᲠᲘᲐᲖᲐᲜᲘᲡ გუბერნიები მოსკოვის ღენელ-ღუბერნატორს ექვემდებარებიან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ“ ᲓᲐ „ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ“.

ვერც ერთს სხვა ქვეყანაში ვერ ნახავთ და ვერ გაიგონებთ ისეთს არევ-დარევას, გაურჩევლობას გვარ-ტიმობისა, ნაციონალობისა და სარწმუნოებისას, როგორც ჩვენს ქვეყანაში; დღემდინ ვერ გაგვირჩევია ჩვენ—რა არის სარწმუნოება და რა არის ნაციონალობა. ჩვენებურ, ქართველ ფრანგს რომ ჰკითხოთ, თავის დღეში არ გეტყვისთ, რომ ის ქართველია და მხოლოდ სარწმუნოება აქვს ფრანგისა: „მე ფრანგი ვარო“! გიპასუხებსთ.

მართალია, იქნება ერთ დროს ჩვენში სიტვას „ფრანგს“ ნაციონალობის მნიშვნელობა ჰქონდა; იქნება „ფრანგი“ ნიშნავდა „ფრანკს“ ანუ საფრანგეთელ კაცს, ევროპიელს; მაგრამ ახლა კი ჩვენს ენაზე მხოლოდ სარწმუნოების მნიშვნელობა მიეცა: ფრანგი უნდა ნიშნავდეს და ნიშნავს კიდეც კათოლიკე სარწმუნოების კაცს, რა ხალხის შვილიც უნდა იყვეს ის, ისე როგორც პროტესტანტი ნიშნავს ლუთერანგის სარწმუნოების მაღვიარებელს, მმათლმორწმუნე მაჰმადის სარწმუნოების მაღვიარებელსა და სხვ.

ᲐᲛᲘᲡ გამო ჩვენ დიდ სირცხვილად უნდა მიგვაჩნდეს იმგვარი განაწილება ჩვენის ხალხისა, როგორც ქართველი და ფრანგი. Დროა გავიგოთ, რომ ჩვენებური ფრანგი იგივე ქართველია, იგივე საქართველოს შვილი, იგივე საქართველოს მიწით გამოზდილი, რომ ის არის მხოლოდ სარწმუნოებით კათოლიკე, რომ ამ კათოლიკე-ქართველს ჩვენი სამშობლო ქვეყანა თავის სამშობლო ქვეყნად უნდა მიაჩნდეს, რომ ჩვენ ერთი ენა—ქართული ენა გვაქვს, ერთი მწუხარება და ლხინი, ერთი ხასიათი და ჩვეულება.

ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ქართველ-ფრანგებსა და ქართველ-მმართლმადიდებლებს ეს უბრალო ჭეშმარიტება ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ. ᲐᲛ ორ სარწმუნოების ქართველებს შუა იქ, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს, რაღაც თითქო განხეთქილება და გინკერძოება ჩამოვარდა; ესენი თითქო ჰყოფენ, ანაწილებენ თავ-თავიანთ კერძო ინტერესებს თითოეული ამათგანი ცალ-ცალკე იწევიან, ერთი მეორესაგან განზე დგებიან

ᲩᲕᲔᲜ არ ვიცით—ვინ ისარგებლებს ამ ქუთათური ქართველების ორ ბანაკად გაყოფითა; მაგრამ ეს კი კარგათ ვიცით, რომ ეს გაყოფა, განცალკევება ორივე მხრისათვის—ქართველ-კათოლიკეთათვისაც და ქართველ-მართლ-მადიდებლებისთვისაც—ახლაც დიდათ მავნებელია და შემდეგში უფრო იქნება, თუ ასე გაგრძელდა.

ᲔᲡ განხეთქილება ქუთათურ ორი სარწმუნოების ქართველთ შუა განსაკუთრებით გამოაშკარავდა ორს შემთხვევაში: ქალაქის რჩევის ხმოვანთა და ბამგეობის წევრთა აღრჩევის დროს და „უთი-ერთ ნდობის“ ბანკის დაარსების დროს. ᲝᲠᲘᲕᲔ მხარე ერთმანეთს აბრალებს, რომ თვენ გინდათ ქალაქის გამგეობა და ბანკი ხელში ჩაიგდონო და ჩვენ არაფერში არ მოგვცეთ წილიო; ორივე მხარე ერთმანეთს სწამებს, რომ თვენ ცუდათ მიგყავთ საზოგადო საქმეებიო; ერთი-მეორეს ემუქრებიან გაშავებას კენჭის-ყრის დროს; ერთმანეთის წინააღმდეგ ქადაგებენ და სხვ. და სხვ.

ᲓᲘᲓ, დიდ სირცხვილად უნდა მიაჩნდეს განსაკუთრებით ქუთათურ განათლებულ „ქართველებსა“ და „ფრანგებს“ ამ გვარი მოქმედება და განხეთქილება; იმათი, ამ განათლებულების ვალია, ჩააგონონ ხალხს, რომ საზოგადო ქალაქის საქმეში სარწმუნოებისა და რჯულის განსხვავებას არ უნდა ჰქონდეს ალაგი; ამათი ვალია ეცადონ, რომ ამგვარი წვრილმანი განხეთქილება და უთანხმოება მოიპონ ძმებს შუა.

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, რა აქვთ გასაყოფი ქუთაისის „ფრანგებსა“ და „ქართველებს?“ რა აქვთ ამათ ერთმანეთში საჯიბრო და საკინწლაო? ნუ თუ ამდენი ხანი ის უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაგვიგია, რომ „ქართველი“ და „ფრანგი“ ორივე ქართველები არიან და სულ ერთია რომელიც უნდა ამოირჩიონ ან ხმოვანად, ან გამგეობის წევრად, ან ქალაქის თავად, ოღონდ კი პატიოსნად, სინდისიანად და ერთგულებით უმსახურონ ამ ამორჩეულმა იმ საქმეს, იმ ქალაქს, რომლისთვისაც ის ამორჩეულია? სარწმუნოებას კი არ უნდა უყურებდეთ, არამედ კაცს, იმის პატიოსნებასა და საქმის-ცოდნას. თუ ყველა დანარჩენი თვისება აქვს, დავ იყოს „ქართველი“, „ფრანგი,“ გინდ ურია—განა სულ ერთი არ არის? თუ ის კარგათ შეასრულებს თავის მოვალეობას, თუ ის ქალაქის ინტერესებს პატიოსნად ემსახურება, რას დასდევთ რა

სარწმუნოების არის, რა გენაღვლებათ რა რჯულზე და რომელ მღვდელს მოუნათლავს ის? მღვდლის მონათლულია, თუ პატრის, თუ ხახამის—სულ ერთი უნდა იყოს, ოღონდ ქალაქს კი მოუტანოს რამე სარგებლობა... მიხედეთ განათლებულ სახელმწიფოებს: ერთსა და იმავე დროს იქ ფრანგიც არის მინისტრად, პროტესტანტიცა და ურიაც. მაგრამ განა ამით ხდება საქმე?

ახლა კიდევ ეს „ურთი-ერთ ნდობის ბანკის“ საქმე. ქუთაისელი „ქართველები“ წყრებიან—თუ რატომ ამ ბანკის წევრებად მომეტებული ნაწილი „ფრანგები“ არიან და არა ჩვენია. თუნდაც რომ მართლა ესე იყოს, ვის რა უფლება აქვს გაწყრეს და დაემდუროს „ფრანგებს“ იმისთვის, რომ შეიკრიბონ და თავიანთთვის ბანკი გახსნან? ქარგი კაცი ხარ, პატიოსანი, მდიდარი, მაგრამ არ მინდა შენთან საქმის დაჭერა,—ამაზე ვის რა ხელი აქვს? თუ გნებავთ, შეიყარენით თქვენც და გამართეთ თქვენთვის ცალკე ბანკი. ქუთაისის „ფრანგებს“ სრული იურიდიკული უფლება აქვსთ ასე სთქვან. მართალია, არ უნდა ჩამოეგდოთ ამისთანა განსხვავება „ქართველებსა“ და „ფრანგებს“ შუა, ასე აშკარად არ უნდა ეჩვენებიათ მიდგომა, მაგრამ რადგან ესე მოიქცნენ (თუ კი მართლა მოიქცნენ), არავის დავა არ უნდა ჰქონდეს; ჩვენ შეგვიძლია მხოლოთ სამწუხაროდ და მოუფიქრებელად ჩავთვალოთ ამგვარი მოქმედება „ფრანგებისა“, მეტი არაფერი.

ბოლოს, ჩვენ ვაცხადებთ სრულ იმედს, რომ ქუთაისის განათლებული და მოწინავე ახალგაზდები „ფრანგებისა“ და „ქართველებისა“ ეცდებიან, რომ ამგვარ სარწმუნოებითს განსხვავებას არ ჰქონდეს ადგილი მომავალ ქრისტეშობისთვეში, როდესაც ქალაქის ამომრჩეველები შეუდგებიან ახალი ხმოვანების ამორჩევასა და შემდეგ ქალაქის რჩევა ბამგეობისათვის ორი წევრის ხელახლად კენჭის-ყრას. ვაცხადებთ იმედს, რომ არათუ მარტო ამ შემთხვევაში, არასოდეს, არც ერთს საზოგადო საქმეში არ ექნება ალაგი ამგვარ განაწილებას „ქართველებსა“ და „ფრანგებს“ შუა.

უმისოთაც ერთმანეთში, საუბედურო, განხეთქილება და უკმაყოფილება ჰსუფევს ეუმისოთაც საზოგადო საქმისათვის ორს ერთად, თანხმობით, ძმურად ვერ მოგვიკიდნია ხელი, და ეს ახალი განაწილება, ახალი განხეთქილება „ქართველებსა“ და „ფრანგებს“ შუა რალა უბედურება არის?! ერთად მომქმედნი, ერთ გზას დამდგარნიც სუსტი ვართ და ბანაკ-ბანაკად გაყოფილნი და ერთმანეთის დამტერებულნი რალა ვიქნებით? ჩვენს ბედს გავაფუჭებთ—მერწმუნეთ, მეტი გამოვა-რა ამგვარ განხეთქილებისა-

ს. ბ.

დღიური

*** ადგილობრივ რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ახალი თეატრის ამშენებელ კომისიის განცხადება, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ ეს კომისია მომავალი წლის 1 ივლისიდამ შეუდგება თეატრის აშენებას; კომისია გამოიხმობს მეიჯარადრეს, ვისაც შეუძლიან ამ ზემოხსენებული რიცხვიდამ 1881 წლის 15 ოქტომბრამდინ ოთხი მილიონის აგურის წარმოდგენისა; ვაჭრობა ამის თაობაზედ ამ ნოემბრის 28-ისთვის არის დანიშნული.

ამბობენ, რომ ახალი თეატრი სამი წლის შემდეგ, ე. ი. 1882 წლის დამლევისთვის მზათ იქნებაო.

*** გაზეთს „კავკაზში“ იწერებიან, რომ ვიღაცაებს შეუდგენიათ ამხანაგობა ფული მოგროვებიათ და ამ ფულით სოფ. აფჭალაში ქათმების მოშენება განუზრახავთ. გაზეთს იმედი აქვს, თუ ეს საქმე მოთავსდა, მაშინ შეიძლება ქალაქში ფრინველი გაიაფდესო; ქათამი ახლა მანეთ-ნახევრად ისყიდებაო, ბატი—2 მან. და 50 კაპ. და ინდოური კი ხან 4 მანეთთათაცაო.

*** გუშინ წინ, 24 ოქტომბერს, კიდევ გაუჩნდა ცეცხლი მირზოევის შენობას ხიდთან; მაგრამ დროზე შეიტყეს და დააქრეს. ამ შემთხვევაში კი ნათლად დამტკიცდა, რომ ვიღაცას განგებ ნდომებია სახლისათვის ცეცხლის წაკიდება, რადგან დერეფანში ნავთში ამოვლებული ჭილობი ნახეს.

*** თფილისის სომხურ გაზეთს „მეღუ აპასტანში“ იწერებიან, რომ შუშის რეალურ სასწავლებლისათვის, რომელიც მომავალ წელს იმართება ამ ქალაქში, ადგილობრივ მცხოვრებლებს გამოუცხადებიათ, რომ ჯერ-ჯერობით ამ სასწავლებლისათვის სახლს ჰქირაობს და ხუთი წლის შემდეგ კი საკუთარი სახლი უნდა აუშენოს. მაგრამ ამაზე უფრო საქმე შუშის სახლები იმისთვის არიან, რომ ამათ გამოუცხადებიათ სამასწავლებლო მთავრობისათვის, რომ ადგილობრივ ენების მასწავლებლისათვის წელიწადში 3,000 მანეთს შემოვსწირავთო.

*** დღეს თფილისში, როგორც ამას წინათაც იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, ამ კვირისა და ორშაბათისათვის არის დანიშნული, კვირას ნაშუადღევის 3 საათზე და ორშაბათს კი 2 საათზე. მაგრამ, თუ ამისთანა სძაგელი, წვიმიანი დღეები იქნა, როგორიც ამ რამოდენიმე დღის განმავლობაში დგას ჩვენს ქალაქში, უეჭველია, რომ ეს დღეი კიდევ სხვა დროისთვის გადაიდება.

„დროების“ კორესპონდენცია

საჩხერე, 16 ოქტომბერს. დღეს აქაური სოფლის საზოგადოების გლეხთ და აზნაურთ ყრილობაზე თანამშრომელ ზ. ... ნის უფროსის ... ...

კარგულებისა, მაგრამ, თუ ეს წესდება ყველგან მთელს გუბერნიაში რიგიანათ იქნა მიღებული და აღსრულებული, მოსალოდნელია, რომ დიდ სარგებლობას მოგვიტანს მცხოვრებლებს და შესანიშნავათ შეამცირებს განსაკუთრებით ცხენების და სხვა პირუტყვების პარვას, რომელნიც ისე გახშირებულია ჩვენში, რომ კაცს ცხენი ველარ უყიდნია რადგანაც დარწმუნებულია,—ბევრი, ბევრი ერთ კვირას არ შერჩება,

სარჩერელი.

საბაასო

კიდევ ქუთაისის ურთი-ერთ ნდობის ბანკზედ

„დროების“ № 216-ში არის დაბეჭდილი პასუხი ჩემ სტატიაზე, შესახებ ქუთაისის „ურთიერთ-შორის ნდობის საზოგადოებისა“.

ეს პასუხი რომ ვნახე, მეგონა უფ. ავტორი ფრანგების გამართლებას აპირებს-მეთქი, მაგრამ სამწუხაროდ, ლანძღვის და შეურაცხყოფის მიყენების მეტი მე ვერა ვნახე იმაში.

უფ. ავტორი ბრძანებს სხვათა შორის:

„რა საჭირო იყო ამისთანა საქმეში „ურიების ანუ ფრანგების სარწმუნოე-„ბაზედ ჯირითობა.“

მე თვითონ რჯულზედ სრულიად არა მითქვამს-რა და არც მივცემ ჩემ თავს ნებას, რომ ვისიც ან როგორიც რჯულიც უნდა იყოს, ცუდი რამე ვსთქვა. მე მხოლოდ ვსთქვი ორიოდე სიტყვა იმ რჯულების მორწმუნეებზედ, და თუ რამე ვთქვი მათზედ, ალბათ საფუძველიც მექნებოდა.

აქამდის არასოდეს არავითარ საქმეში არ გამირჩევია ფრანგები ქართველებისაგან, სომხებისაგან და ურიებისაგან; ისინი ჩემთვის სულ ერთნი იყვნენ, თუ კი სინიდისიანათ და არა კერძო. ინტერესებისთვის მოქმედებდნენ საზოგადო საქმეში. მაგრამ, ჩვენ-და სამწუხაროთ, ეს ჩემი შეხედულობა შემცდარათ დავინახე ამ „ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოების“ საქმეში. ახლა დავინახე, რომ პატივ-ცემულნი ფრანგები თურმე სხვა მიმართულების და თავისკენ მიმზიდველი ხასიათის ბძანებულან.

აი ამის დასამტკიცებელი ორი უმთავრესი საბუთები:

1), ამ სამი თუ ოთხი წლის წინეთ მიცვალებულს ბესარიონ ღოღობერიძეს მოსვლოდა აზრი ქუთაისში „ურთი-ერთ შორის ნდობის საზოგადოების“ დაარსება; შეედგინა წესდება ამ საზოგადოებისთვის და მიენდო უფ. ანტონ ლორთქიფანიძისთვის ქუთაისის მცხოვრებლების შეკრება და წესდების განხილვა. ანტონ ლორთქიფანიძეს ყველაზე უწინ უფ. პ. ხარაზოვისთვის ეთქვა; ხარაზოვს მოსწონებოდა ეს აზრი და განეცხადებია ამ საქმის თავის თავზე მიღების სურვილი; უფ. ლორთქიფანიძეს მგონი დაზარებია ამ საქმეზედ შრომა და გადაუცია ხარაზოვისთვის წესდება.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, არ ვიცი რა მიზეზისთვის, უფ. ხარაზოვს ღოღობერიძის წესდების მაგიერ მოუტანია ფოთის ამგვარივე საზოგადოების წესდების პირი, მოუწერინებია საიდუმლოთ ხელი 53 კაცისათვის, რომლიდგანაც ქართველობა მხოლოდ, როგორც უფ. ავტორი ამბობს, შვიდი თუ რვანი ყოფილან და წარუდგენიათ ფინანსის მინისტრთან დასამტკიცებლად. ეს ისე საიდუმლოთ მოუხდენიათ, რომ იმ 53 კაცის მეტს მთელ ქუთაისში არავის არ ცოდნია.

ამნაირი საიდუმლო მოქმედება ამ საზოგადო საქმეში და ხელთ-მომწერლებში ფრანგების უმეტესობა ჩვენ საკმაოდ გვიმტკიცებენ ფრანგების განძრახვას, ე. ი. იმას, რომ მათ ნდომიათ, რომ იმ საზოგადოებაში ქართველობა ბევრნი არ ყოფილიყვნენ. უეჭველია, ქართველობა უფრო ბევრი მოაწერდა ხელს, რომ შეეტყობინებიათ მათთვის, რადგანაც ქუთაისი თითქმის ქართველებით არის დასახლებული.

და 2), 7 ოქტომბერს ამორჩეულ კომმისიას ჰქონდა მინდობილი საზოგადოებაში სანდო პირების მიღება. ამ კომმისიაში, როგორც მოგეხსენებათ, იყვნენ: სამი ქართველი, 6 ფრანგი და 2 ურია.

როგორც კი ფრანგები და ურიები განაცხადებდნენ საზოგადოებაში შესვლის სურვილს, კომმისია ყოვლის უმიზეზოთ იღებდა მათ და ქართველების მიღებას კი ძლიერ აჭირვებდა და კიდევაც ბევრი თხოვნა იქნა უყურადღებოთ დატოვებული.. ეს იმიტომ მოხდა, რომ სამი კაცის წინაამდეგ რვა კაცი იყო.

თუ ფრანგებს არ ქონდათ ის განზრახვა, რომ მარტო მათ ხელში ყოფილიყო ის საზოგადოება, ჩემის აზრით, აი როგორ უნდა მოქცეულიყვნენ: 1, წესდების მინისტრთან წარდგენამდის ყველა მსურველისთვის უნდა გაესინჯვინებიათ, მათთვინაც ხელი მოეწერინებიათ და მერე წარედგინათ, და 2, კომმისიაში ფრანგებს ასე აშკარათ არ უნდა გამოეჩინათ ქართველების წინაამდეგობა.

კომმისიის ამგვარი მოქმედება ცხადათ გვიმტკიცებს, რომ ფრანგებს და ურიებს ნდომიათ ამ საზოგადოების ხელში ჩაგდება.

ამას თუ არ ნიშნავს ეს, მაშ აგვიხსნას ავტორმა მათი ამ საქმეში საიდუმლოდ მოქმედება რას ნიშნავდა.

შემდეგ ავტორი ჩემ სიტყვებზედ:

„ურთი-ერთ შორის ნდობის საზოგადოებისათვის ყველანი იმისთანა „საიმედონი არიან, როგორც ხარაზოვი, აკოფოვი, დუკლიაკი და სხვებიო.“ ბძანებს: „ეს რომ წავიკითხე შევჩერდი და ვიფიქრე, უეჭველად უფ. ქუთაისელს, ზემოხსენებულ პირებზედ რამე შეუტყვია ნატარიუსებიდგანო...“ და სხვ.

ამისთანა მოსაზრებაზედ მე სრულებით არ ვრაცხ მიუცილებელ საჭიროდ ნატარიუსებისაგან ცნობების შეკრებას; ამ გვარი მაგალითები [illegible]; გვინახავს იმისთანა კაცი; რომელსაც ვალი ქონდა და იმ ვალიდგან განთავისუფლებისთვის საიდუმლოთ გადაეცეს თავის ქონება სხვისთვის.

მე სრულებით არ მივსცემდი ჩემ თავს ამის ფიქრის ნებას, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ „ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო.“ სწორეთ ასე იყო ზემოხსენებულთ პირთ საქმე: თვითონ იმათ დაიწყეს სანდო პირებზედ ლაპარაკი, და თქვენვე ამართლებთ ამგვარ მათ მოქმედებას. ჩვენ გვეგონა ამის სიმართლეს დაგვიმტკიცებდით თქვენ, მაგრამ მარტო უსაფუძლო სიტყვების რახა-რუხით გვიქცევთ.

რადგან თქვენ არ გისურვებიათ ან და შეიძლება ვერ შეგიძლიათ ამ სასურველი საგნის ახსნა და დამტკიცება, მე მაინც მომისმინეთ:

სანდო და დიდი მამულის მქონე მაშინ უნდა ეძიოს კაცმა რომ საზოგადოების წევრს ქონდეს უფლება სესხის გატანა მარტო თავის საკუთარი ვექსილითა; მაშვინ კი შეიძლება ამნაირი განსაზღვრა წევრთა შორის. ამ საზოგადოებიდგან კი ვერავინ ვერ გაიტანს ფულს, თუ სანდო პირს ვექსილი, მოძრავი ქონება და ან სარგებლიანი ქაღალდები თავდებათ არ წარადგინა. და თუ კი ამისთანა გირაოს წარმოგიდგენს ის პირი, რომელსაც თქვენ სანდოთ ვერ ჰპოვებთ, მაშინ რა საფუძლით შეგიძლიათ სანდოთ ვერ იცნოთ ის?. რა ენაღვლება და ან რა აკლდება საზოგადოებას, ვინც უნდა ჩაეწეროს, თუ კი საჭიროების დროს ჯეროვან გირაოს მიიტანს?!

აქედგან ცხადია, რომ საზოგადოებაში ქართველების მიუღებლობის მიზეზი ყოფილა მხოლოთ მათი ქართველობა და არა ის, რომ ვითომ ისინი სანდონი არ იყვნენ.

შემდეგ უფ. ავტორი ბძანებს:

„რატომ თავის სახელი და გვარი არ გამოაცხადა უფ. ქუთაისელმა, საზოგადოება რჩევის საკითხავათ მივიდოდა იმასთან..“

ამ სიტყვებით უფ. ავტორს, როგორც მთელი პასუხის წამკითხველი დაინახავს, ოხუნჯობა ნდომია, მაგრამ მეტის-მეტი უფეროული ოხუნჯობა მოსვლია. ამ საქმის ცოდნას დიდი არაფერი არ სჭირია, საზოგადოების ყველა წევრს, ვინც-კი ცოტათი მაინც გონება გახსნილია, კარგათ უნდა ესმოდესთ, თუ რა არის „ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოება“ და ან რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას. თუ უფ. ავტორის გარდა, ამ საზოგადოების დანარჩენი წევრნი უკანონობას ჩადიან, ჩადიან თავიანთ ცულლუტურ მიდრეკილებით და არა უცოდინარობითა...

ქუთაისელი.

განცხადებანი

თფილისის ვაჭრების გამგეობა (კუპეჩესკი უპრავა), თანახმად უფ. თფილისის გუბერნატორის ნება-რთვისა, უმორჩილესად სთხოვს უფალთ პირველი და მეორე გილდიის ვაჭრებსა, მობრძანდნენ ამ ოქტომბრის 30-ს დილის 10 საათზე კუპეჩესკი უპრავის ზალაში, ისტამანოვის სახლებში, განსახილველად საზოგადო კრებაში უპრავის ანგარიშისა და განსასჯელად ზოგიერთ საქმეებისა, რომელიც ვაჭრობის საქმეს შეეხება.

(3—1)

უმაწვილი კაცი ამზადებს ბავშვებს პირველ და მეორე კლასისთვის. მსურველს შეუძლია თვისი ადრესი დასტოვოს „დროების“ რედაქციაში.

(5—5)

ამ შაბათს, 27 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში იქნება **ხილის გამოფენა** უფ. ბუშეკის კამბილეის (ვლადიკავკასის მახლობლად) ფერმისა. უფ. ბუშეკმა რამდენჯერმე გამოფინა ქ. ვლადიკავკაზში თავის ბაღის ხილი და ამ ხილის გემოს, სიდიდეს და სილამაზეს ხსენებულმა ქალაქმა მიაქცია ჯეროვანი ყურადღება.

სასურველია, რომ თფილისის ახლო-მახლო ბაღების მეპატრონეებმაც ისარგებლონ ამ შემთხვევით და გამოაფინონ აგრეთვე სამეურნეო საზოგად. სადგომში თავიანთი ბაღის ხილიც. სამეურნეო საზოგადოება თავის მხრით რაც შეიძლება შემწეობას მისცემს აქაურ მებაღეებს, რომელნიც ისურვებენ ხილის გამოფენას.

ვისაც ჰსურს გამოფენაში მონაწილეობის მიღება, ვსთხოვთ მიმართონ საზოგადოებაში და თვით გამოსაფენი ხილი 26 ოკტომბრამდინ უნდა წარმოადგინონ. გამოგზავნილს ხილზე უნდა იყოს მიკრული ქაღალდი (ეტიკეტი) და ზედ ეწეროს თუ რა გვარი ხილია ეს ხილი და რა ჰქვია იმას სახელად.

(3—2)

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა უცხადებს ტრაქტირებისა, ხარჩოინიკებისა და პასტოიალი დვორების პატრონებს, რომ, თანახმად ტრაქტირების წესდების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის (ღვინობისთვის) განმავალობაში შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯეროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარჩოინიკებსა და პასტოიალი დვორებს უპრავა უეჭველად მომავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თბილისს: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში,

ქუთაისს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

სამეგრელოში: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. კეკელიასთან შკოლაში,

ოზურგეთს: სასულიერო სასწავლებელში,

ხონში: უფ. ჭალაგანიძესთან,

გორს: სასულიერო სასწავლებელში,

თელავს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

სიღნაღს: უფ. კ. ბალაშვილთან.

ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

ბიბლიოგრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კურსი რუსულის ენისა ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებული ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში პუკის ხიდთან. ფასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-და-ათზე მომეტებულს წაიღებს ერთათ ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ.

(15—3)

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	21	5	18	მ	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა	10	11	6	27	-	85	-	44
გორი	11	58	9	43	3		1	53
ხაშური	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი	1	44			4	90	2	61
ყვირილა	5	49			7	21	3	69
რიონი	6	57			8	44	4	31
სამტრედია	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია	11	5			2	61	1	33
რიონი	12	13			3	84	1	97
ყვირილა	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური	5	39	1	37	7	51	3	84
გორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ.		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისსა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	7

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი 9 ოქტომბ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	55
ფქვ. წითელი	2	20
ქერი ფუთი	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	65
—ამერიკისა, ფუთი	9	30
ბატენტილი ბამბა ფუთი.	11	70
მატყლი თუშური ფუთი.	8	20
—თარაქამისა ფუთი	3	70
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	65
ხორცი ძროხისა ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა	—	—
სპირტი ვედრო	4	50
შაქარი ბროც. ფუთ	7	25
—ფხვნილი ფუთი	5	70
ყავა რგვალი გრვ.	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	—
თამბაქო საშუალო ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მეიდ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ვარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ასტვა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ყურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Октября 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.